პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-11 წელი

№ 39 (845) | კვირა, 15 მაისი, 1955 წ. | ფასი 30 კაპ.

## საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ

Დიადი სოციალისტური სამშობლოს ყველა კუთხეში უდიდესი შრომითი და პატრიოტული აღმავლობაა. ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანას მოეფინა სასიხარულო ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში გაიმართა სახელდახელო მიტინგები. ხალხმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა მთავრობის ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას.

საბჭოთა ადამიანები სახელმწიფო სესხის გამოშვებას ყოველთვის მაღალი შეგნებით, პატრიოტული აღმავლობით ხვდებიან. მათ კარგად იციან, რომ მათი შრომითი დანაზოგები, რასაც ისინი სახელმწიფოს სესხის სახით ნებაყოფლობით და ერთსულოვნად აძლევენ, ხმარდება სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

გაეცნო რა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სახელმწიფო სესხის (1955 წლის გამოშვება) გამოშვების პირობებს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გივი კარტოზიამ განაცხადა: „სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სესხს. მე მჯერა რომ ახალი სესხიდან მრავალი მილიონი მანეთი დაიხარჯება ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის. ჩვენს საყვარელ სამშობლოს შეემატება ახალი სტადიონები, კიდევ უფრო გაიზრდება სპორტსმენთა რიგები. ჩვენ მივაღწევთ მიზანს — დავიპყრობთ მსოფლიო მწვერვალებს სპორტის წამყვან სახეობებში".

რედაქციამ კიშინიოვიდან მიიღო სპორტის დამსახურებული ოსტატის საბჭოთა კალათბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტნის ოთარ ქორქიას დეპეშა: „ახალი სესხი, — სწერია დეპეშაში, — საბჭოთა ხალხის ბედნიერი მომავლის საწინდარია. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მზადების დღეებში განსაკუთრებული აქტივობა მართებთ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს. ახალი სესხი განამტკიცებს ჩვენს რიგებს. მაღალ სპორტ-ტექნიკური მაჩვენებლებით შევხვდებით სპარტაკიადას".

ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკა თავის გამოხატულებას პოულობს სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლის სახსრების უდიდესი ნაწილი მშვიდობიან მშენებლობას, სახალხო მეურნეობის განვითარებას, მშრომელთა კეთილდღეობას ხმარდება. მთელი მოწინავე კაცობრიობა უდიდესი ყურადღებითა და ინტერესით ადევნებს თვალყურს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების თათბირს. ამ თათბირზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის განცხადებაში მთელი სისრულით აისახა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის არსი.

ახალ სესხზე — მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების სესხზე — ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები არნახული ენთუზიაზმით აწერენ ხელს. ისინი ამ დიდი ღონისძიების მიმდინარეობისას ავლენენ უსაზღვრო პატრიოტიზმს, მტკიცე ერთიანობასა და მჭიდრო დარაზმულობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

## წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მაღალი სპორტული მაჩვენებლებისათვის საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა ალპინიზმში გ. ო. გულბანს („ხიმიკი") და ტ. ლ. ოტეჩკოს („მეტალურგი"). საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება ჭადრაკში მიენიჭა ა. გ. ფალავანდიშვილს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯების წოდება მიენიჭათ: ვ. ს. ნაკანს („კოლმეურნე"—სათხილამურო სპორტში) და ბ. გ. ტელეგინს („ბურევესტნიკი" — მაგიდის ჩოგბურთში).



ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები თავისუფალ ჭიდაობაში მარცხნიდან — ჯ. ჩლიქაძე, ნ. მუზაშვილი, ს. გაბარაევი, შ. დაუშვილი და ო. კანდელაკი (ზის) ხელს აწერენ ახალ სესხზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მეგობრობის მოტოგადარბენა

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ათი წლისთავისადმი მიძღვნილი მოტოგადარბენა ვარშავა-მოსკოვი-ვარშავა და მოსკოვი-ვარშავა-მოსკოვი დამთავრდა. მოსკოვის მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მოედანზე შედგა მიტინგი. გადარბენის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა დედაქალაქის საზოგადოებრიობა.

## მშვიდობის ველორბოლა

2 მაისს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქიდან სტარტი მიეცა მშვიდობის მერვე ველორბოლის მონაწილეებს.

ველორბოლის მეექვსე ეტაპზე (დრეზდენი-კარლ მარქსშტადტი) 106 სპორტსმენის ნაცვლად სტარტი აიღო 96 სპორტსმენმა. ველორბოლა მიატოვა ინდოეთის, ნორვეგიისა და საფრანგეთში მცხოვრებ პოლონელთა გუნდების ორ-ორმა წევრმა, ფინეთის, ეგვიპტისა და პოლონეთის თითო ველოსიპედისტმა. ავადმყოფობის გამო შეჯიბრებიდან გამოვიდა ე. ნემიტოვიც (სსრკ).

ამ ეტაპის ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა ფრანგი გუქე, შედეგით 2:51.42.

მე-7 ეტაპით დამთავრდა მშვიდობის მერვე ველორბოლის მეორე ციკლი. 206 კილომეტრიანი ეტაპის გავლის შემდეგ ლაიპციგში პირველად შევიდა 12 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი. ქალაქის სტადიონზე ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა შური (გდრ) შედეგით 5:24.54. ვ. ვერშინინი მეექვსე ადგილზე გამოვიდა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს გდრ-ის სპორტსმენებმა.

## მსოფლიო პირველობაზე

5 მაისს ლიონში (საფრანგეთი) საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიო გუნდური პირველობა ჭადრაკში სტუდენტებს შორის.

I ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ იუგოსლავიის სტუდენტებს. ოსტატმა სპასკიმ, რომელიც ოსტატ მილიჩის წინააღმდეგ თამაშობდა, მოიპოვა გამარჯვება. ყაიმით დამთავრდა ანტოშინ-ჯურაშევიჩის პარტია. წარუმატებლად ითამაშა გროსმაისტერმა ტაიმანოვმა, რომელმაც რამდენიმე შეცდომა დაუშვა და დამარცხდა იუგოსლაველ ოსტატ ფუდერერთან. მატჩის საერთო ანგარიშია 2:2.

II ტურში საბჭოთა გუნდი შეხვდა ჰოლანდიის მოჭადრაკეებს. საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 3,5:0,5. ამ შეხვედრაში გაიმარჯვეს ოსტატებმა სპასკიმ, სუეტინმა და ვასიუკოვმა.

III ტურში საბჭოთა სტუდენტები შეხვდნენ ბულგარელ მოჭადრაკეებს. გროსმაისტერ ტაიმანოვის პარტია ოსტატ მინჩევთან გადადებულია საბჭოთა მოჭადრაკის უპირატესობით. მორიგი, მესამე გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადელმა ოსტატმა სპასკიმ. სუეტინმა ბობოცევთან დებიუტში უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდეგ რამდენიმე შეცდომა დაუშვა და დამარცხდა. მეოთხე დაფაზე ოსტატმა ვასიუკოვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა კოლაროვთან.

IV-V ტურებში საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეები ისვენებდნენ. იუგოსლავიის წარმომადგენლებმა მშრალი ანგარიშით (4:0) დაამარცხეს ფინელი სპორტსმენები, უნგრეთისა და ისლანდიის შეხვედრაში ანგარიში იყო 2:1 უნგრეთის სასარგებლოდ (ერთი პარტია გადაიდო). ესპანეთმა მოუგო შვეციას — 2,5:1,5, ბულგარეთმა ნორვეგიას — 3:0 (ერთი პარტია გადაიდო). ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის შეხვედრის ანგარიშია 2:0 (ორი პარტია გადაიდო).

VI ტურში საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა საფრანგეთის წარმომადგენლებთან — 4:0, ხოლო VII ტურში ჩეხოსლოვაკიასთან — 2,5:1,5 (ერთი პარტია გადაიდო). VIII ტურში სსრ კავშირისა და ნორვეგიის გუნდების შეხვედრის ანგარიშია 4:0 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

IX ტურის შედეგები ასეთია: საბჭოთა კავშირის გუნდმა დაამარცხა ფინეთის მოჭადრაკეთა კოლექტივი 3,5:1,2. მოიგეს ტაიმანოვმა, სპასკიმ და სუეტინმა, ანტოშინმა შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

IX ტურის შემდეგ პირველობას ლიდერობს საბჭოთა კავშირის გუნდი, რომელსაც 32 შესაძლებლიდან 27 ქულა აქვს, მეორე ადგილზეა იუგოსლავია — 35 შესაძლებლიდან 25 ქულა. შემდეგ მოდიან ბულგარეთი 23,5 ქულა 33-დან და ესპანეთი 19 ქულა 31-დან.

## მატჩი ტელეგრაფით

როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, შვეციის გაზეთ „აფტონბლადეტისა" და საბჭოთა გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას" მოლაპარაკებით გაიმართა საჭადრაკო მატჩი შვეციის გროსმაისტერ შტალბერგსა და მოსკოველ გროსმაისტერ ბრონშტეინს შორის. მატჩში, რომელშიც მხოლოდ ერთი პარტია გათამაშდება, თეთრებით თამაშობს შტალბერგი. პარტიაში უკვე გაკეთდა 18 სვლა. მოგვყავს ამ პარტიის მსვლელობა.

1. მf3 მf6 2. c4 g6 3. g3 კg7 4. კg2 d6 5. d4 0–0 6. 0—0 კg4 7. მc3 c6 8. h3 კ:f3 9. კ:f3 e6 10. e4 მbd7 11. კe3 ლe7 12. ლd2 e5 13. d5 c5 14. მფg2 მe8 15. g4 a6 16. ეh1 f5 17. gf gf 18. ef e4.

## საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

### რესპუბლიკის კომკავშირის ორგანიზაციებში მზადების შესახებ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის

როგორც ცნობილია, 1956 წელს ეწყობა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, რომელსაც წინ უძღვის სპარტაკიადები მოკავშირე რესპუბლიკებში. ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების მთელი საქმიანობა წარმართულია აქეთკენ, რათა წარმატებით ჩატარდეს ყველა ეს ღონისძიებანი.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა იმსჯელა მომავალი სპარტაკიადის შესახებ და მიიღო დადგენილება, რომლითაც ავალებს კომკავშირის რაიკომებს, ქალაქკომებს, საოლქო კომიტეტებს უზრუნველყონ ყველა კომკავშირული ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობა მასობრივ სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებაში, სპორტსმენთა მომზადებაში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა რაიკომებს, ქალაქკომებს, საოლქო კომიტეტებს წინადადება მისცა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებთან და სპორტსაზოგადოებათა საბჭოებთან ერთად აწარმოონ სპარტაკიადასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ფართო პროპაგანდა, აგრეთვე პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ჩაატარონ 1955 წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე და 1956 წლის გაზაფხულზე კროსები (ვოგონების, ჭაბუკებისა და ქალთათვის 800 მეტრზე, ვაჟთათვის 1.500 და 5.000 მეტრებზე), მძლეოსნური, საველოსიპედო და კომბინირებული ამანათრბენები, მასობრივი გაცურვები, სპორტული დღესასწაულები, მოაწყონ კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრებები. ნაყოფიერი და კონკრეტული მონაწილეობა მიიღონ საიაიონო, საქალაქო და საოლქო სპარტაკიადებში, სისტემატური კონტროლი განახორციელონ პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებზე, თუ როგორ მონაწილეობენ ისინი სპარტაკიადებში.

ფართოდ უნდა იქნას ჩაბმული ახალგაზრდობა ფრენბურთის, კალათბურთის მოედნების, ფეხბურთის მინდვრების, მძლეოსნური სექტორების, მარტივი საწყლოსნო ბაზების მოწყობის საქმეში. საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესებულ იქნას მუშაობა საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, მსაჯების, მწვრთნელების, მშთ ნიშნოსნების მომზადების დარგში.

დაწესდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი დროშა ფიზკულტურის საუკეთესო კოლექტივის დასაჯილდოებლად.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ სოფლის ფიზკულტურელთა 1955 წლის სპარტაკიადისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### I. მიზანი და ამოცანები

1. საქართველოს სსრ სოფლის ფიზკულტურელთა 1955 წლის სპარტაკიადა მიზნად ისახავს:

ა) ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქსა და რაიონებში შემავალი მტს-ბის, საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მუშაობის შემოწმებას.

ბ) ხელი შეუწყოს საქართველოს სსრ სოფლის ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმას ფიზკულტურითა და სპორტით რეგულარულ მეცადინეობაში.

გ) საქართველოს სსრ სოფლის ფიზკულტურელებისაგან ნაკრები გუნდებისათვის უძლიერეს სპორტსმენთა შერჩევას და მომზადებას საბჭოთა კავშირის სოფლის ახალგაზრდობის 1955 წლის სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის.

### II. შეჯიბრების დრო და ადგილი

1. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში სპარტაკიადები ტარდება 1955 წლის 20 ივლისამდე.

2. სარაიონო სპარტაკიადები ტარდება ადგილებზე 1955 წლის 1 აგვისტომდე.

3. სპარტაკიადები ზონებში ჩატარდება მიმდინარე წლის 11 სექტემბრამდე.

4. სპარტაკიადის ფინალი ჩატარდება თბილისში 12-18 სექტემბერს.

5. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სახეობებიდან: ფეხბურთი, ცურვა, კლასიკური ჭიდაობა, ველოსპორტი და ქართული ჭიდაობა ჩატარდება დამოუკიდებლად (ცალცალკე), ამ სახეობებისათვის დამტკიცებულ დებულებებში მოცემულ ადგილებსა და ვადებში, მაგრამ შევა სპარტაკიადის საერთო შეფასებაში.

შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და სროლაში ჩატარდება ერთად ამ დებულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილებზე.

### III. სპარტაკიადის მონაწილენი და სპარტაკიადის ჩატარების სისტემა

1. საქართველოს სსრ სოფლის ფიზკულტურელთა 1955 წლის სპარტაკიადა ტარდება 6 ზონაში:

**მახარაძის ზონა.** ზონაში შედის: მახარაძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სამტრედიის, გეგეჭკორისა და ვანის რაიონები (შეჯიბრება ტარდება 3-8 აგვისტოს).

**ზუგდიდის ზონა.** ზონაში შედის: ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, აბაშის, ფოთის, ცხაკაიასა და მესტიის რაიონები (შეჯიბრება ტარდება 13-18 აგვისტოს).

**გორის ზონა.** ზონაში შედის: გორის, ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ასპინძის, ხაშურის, ქარელისა და კასპის რაიონები (შეჯიბრება ტარდება 20-25 აგვისტოს).

**თელავის ზონა.** ზონაში შედის: თელავის, ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოსა და კაჭრეთის რაიონები (შეჯიბრება ტარდება 27 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე).

**ქუთაისის ზონა:** ზონაში შედის: ქუთაისის, ლენტეხის, ცაგერის, წულუკიძის, წყალტუბოს, ტყიბულის, ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის, ამბროლაურის, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის, თერჯოლისა და ონის რაიონები (შეჯიბრება ტარდება 6-11 აგვისტოს).

**რუსთავის ზონა.** ზონაში შედის: თრიალეთის, გარდაბნის, მარნეულის, დმანისის, ბოლნისის, წალკის, ყაზბეგის, თეთრი წყაროს, მცხეთის, დუშეთისა და გარეუბნის რაიონები (შეჯიბრება ტარდება 6-11 სექტემბერს).

**შენიშვნა:** აფხაზეთის, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ატარებენ რესპუბლიკურ-საოლქო სპარტაკიადებს, რის შემდეგ მონაწილეობენ რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალში არა ნაკრები გუნდებით, არამედ ავტონომიურ რესპუბლიკათა და ოლქის სპარტაკიადებში გამარჯვებული გუნდებით.

ზონალური შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სპარტაკიადის ფინალური შეხვედრები შედგება თბილისში მიმდინარე წლის 20 სექტემბერს.

ზონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად რაიონული საბჭოები ადგილობრივი ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებთან ერთად ატარებენ სოფლის ფიზკულტურელთა რაიონულ სპარტაკიადას, რომელშიც მონაწილეობენ რაიონის საბჭოთა მეურნეობების, მტს-ებისა და კოლმეურნეობათა ფიზკულტურული კოლექტივები. შემდეგ რაიონი ადგენს რაიონის სპარტაკიადაში მონაწილე ორგანიზაციებიდან ნაკრებ გუნდებს სახეობების მიხედვით და მონაწილეობს ზონალურ შეჯიბრებებში.

სპარტაკიადის ზონალურ შეჯიბრებაში დაიშვებიან სპორტსმენები, რომლებიც არიან სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ან „უროჟაის“ წევრები და აქვთ არა ნაკლებ III სპორტული თანრიგი.

### IV. სპარტაკიადის ხელმძღვანელობა

სპარტაკიადის როგორც ზონალურ, ისე ფინალურ შეჯიბრებებს ხელმძღვანელობს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი.

სპარტაკიადის ჩატარებისადმი უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ სახეობების მიხედვით დამტკიცებული მსაჯთა კოლეგიები.

სარაიონო სპარტაკიადების ორგანიზაცია, მომზადება და ჩატარება ხორციელდება ადგილებზე შექმნილი სპარტაკიადის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტების საშუალებით. ხოლო შეჯიბრების ჩატარებას უშუალოდ ხელმძღვანელობს ფიზკულტურისა და სპორტის შესაბამისი კომიტეტების მიერ დამტკიცებული მსაჯთა კოლეგიები.

### V. სპარტაკიადის პროგრამა და მონაწილეთა რაოდენობა

სპარტაკიადის პროგრამაში შედის შემდეგი სახეობები:

| | |
|---|---|
| 1. მძლეოსნობა | 20 კაცი |
| 2. ფრენბურთი | 16 (ქალთა-ვაჟთა) |
| 3. ველოსპორტი | 14 |
| 4. ფეხბურთი | 15 |
| 5. ცურვა | 13 |
| 6. კლასიკური ჭიდაობა | 9 |
| 7. ქართული ჭიდაობა | 9 |
| 8. სროლა | 8 |
| **სულ** | **104 კაცი** |

**შენიშვნა:** მწვრთნელი და წარმომადგენელი შედის გუნდების აღნიშნულ რიცხობრივ შემადგენლობაში სპორტის სახეობების მიხედვით.

რაიონებმა უნდა იხელმძღვანელონ სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი სპორტის ცალკეულ სახეობებში ჩასატარებელი შეჯიბრებების დებულებებით, რომლებიც დაეგზავნა რაიონებს ცალცალკე.

რაიონებიდან წარმოდგენილი გუნდების შემადგენლობაში დაიშვებიან მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, კოლმეურნეები და სოფლის ინტელიგენცია (სოფლის სკოლის მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, კლუბებისა და ქოხსამკითხველოების მუშაკები და სხვ.), რომლებიც ითვლებიან სპორტული საზოგადოება — „კოლმეურნის“ ან „უროჟაის“ წევრებად.

**შენიშვნა:** ერთ სპორტსმენს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა სპორტის ორ სახეობაში, თუ ამ სახეობათა შეჯიბრებების დრო და ვადები არ ემთხვევა ერთმანეთს.

გუნდების წარმომადგენლებს მონაწილეებზე თან უნდა ჰქონდეთ შემდეგი საბუთები:

1. პასპორტი (მეტრიკული ამონაწერი) ან ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
2. სოფსაბჭოს ცნობა საცხოვრებელი ადგილისა და თანამდებობის აღნიშვნით (აუცილებელია ფოტოსურათი).
3. სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ან „ეროჟაის“ საწევრო ბილეთი.
4. საკლასიფიკაციო ბილეთი.
5. მშთ ნიშნის მოწმობა.

### VI. სპარტაკიადის საერთო გუნდური პირველობის განსაზღვრის წესი

ზონებში სპარტაკიადის საერთო პირველობა განისაზღვრება მონაწილე კოლექტივების მიერ სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით (მიღებულ ქულათა უმცირესი რაოდენობით). ქულები სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით გუნდებს დაერიცხება სპარტაკიადის დებულებით გათვალისწინებული მონაწილე კოლექტივების რიცხვის მიხედვით. გუნდი, რომელიც დაიკავებს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში პირველ ადგილს, დაეწერება:

| | | |
|---|---|---|
| 1. მძლეოსნობაში | 2,5 | ქულა |
| 2. ველოსიპედში | 2 | “ |
| 3. ცურვაში | 2 | “ |
| 4. სროლაში | 1 | „ |
| 5. კლასიკურ ჭიდაობაში | 1,5 | “ |
| 6. ფეხბურთში | 1,5 | “ |
| 7. ფრენბურთში ვაჟები | 1 | “ |
| ქალები | 1 | “ |
| 8. ქართულ ჭიდაობაში | 1 | „ |

**შენიშვნა:** ფრენბურთში ვაჟთა და ქალთა გუნდებს შეფასება ეძლევათ ცალცალკე.

ზონალურ სპარტაკიადაში საერთო გამარჯვებული გამოვა ის რაიონი, რომელიც მოაგროვებს ქულათა ნაკლებ რაოდენობას. სპარტაკიადის პროგრამაში შემავალ სპორტის რომელიმე სახეობის გუნდის გამოუყვანლობისათვის რაიონის კოლექტივს ეწერება ამა თუ იმ სახეობაში მონაწილე გუნდების უკანასკნელი ადგილი და მიმატებული მასზე ერთი საჯარიმო ქულა.

### VII. სპარტაკიადაში გამარჯვებული გუნდების დაჯილდოება

1. რესპუბლიკურ სპარტაკიადაში პირველ ადგილზე გამოსული გუნდები (სახეობათა მიხედვით) ჯილდოვდებიან გარდამავალი თასით და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის I ხარისხის დიპლომით.

II და III ადგილებზე გამოსული გუნდები — საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის შესაბამისი დიპლომებით.

2. რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალში I ადგილზე გამოსული სპორტსმენები (სპორტის სახეობების მიხედვით) ჯილდოვდებიან საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის I ხარისხის დიპლომით, ხოლო სპორტსმენები, რომლებიც ამავე დროს შეჯიბრებაში აჩვენებენ II თანრიგის ნორმას, ფასიანი ჯილდოთი. II და III ადგილებზე გამოსული სპორტსმენები ჯილდოვდებიან შესაბამისი დიპლომებით.

3. ზონებში საერთო პირველ ადგილზე გამოსული რაიონული კოლექტივები ჯილდოვდებიან ალმით და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომით.

II და III ადგილებზე გამოსული რაიონები — შესაბამისი დიპლომებით.

4. ზონალურ სპარტაკიადაში პირველ ადგილზე გამოსული გუნდები (სახეობათა მიხედვით) ჯილდოვდებიან ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის I ხარისხის დიპლომით, ხოლო II და III ადგილებზე გამოსული გუნდები შესაბამისი დიპლომებით.

5. სპორტსმენები, რომლებიც ზონებში ცალკეულ სახეობათა მიხედვით დაიკავებენ I ადგილს, დაჯილდოვდებიან ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომებით, ხოლო II და III ადგილებზე გამოსული სპორტსმენები — შესაბამისი დიპლომებით.

### მონაწილე ორგანიზაციების მიღების პირობები

როგორც ზონებში, ისე სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილე ორგანიზაციებსა და ცალკეულ სპორტსმენებს შეჯიბრების პერიოდში ადგილზე კვებით და ბინით უზრუნველჰყოფს „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭო. გუნდების მივლინებასთან დაკავშირებულ დანარჩენ ხარჯებს (გზის ხარჯები ორივე მხარეს, დღიურები გზაში და სხვ.) იღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

### განაცხადების წარდგენის წესი და პირობები

„კოლმეურნის“ რაიონული საბჭოები სპარტაკიადაში მონაწილეობის შესახებ წინასწარ განაცხადს აგზავნიან „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ საბჭოში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1-5 აგვისტოსი, ხოლო სახელობითი განაცხადს სპორტის ცალკეული სახეობის მიხედვით უდგენენ შეჯიბრების ადგილზე შექმნილ სამანდატო კომისიას.

**შენიშვნა:** წინასწარ განაცხადში საჭიროა რაიონულმა საბჭოებმა ზუსტად აჩვენონ სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის რომელ სახეობაში მიღებენ მონაწილეობას და რომელში ვერ შეძლებენ.

## პირველობისათვის იბრძვის ცხრა გუნდი

რიგაში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატის გათამაშება სამბოში. პირველობისათვის იბრძვის 9 კოლექტივი. პირად პირველობაში გამოდიან აგრეთვე ყაზახეთის უძლიერესი სპორტსმენები. პირველი სამი წრის შემდეგ მდგომარეობა საკმაოდ რთულია. ყოველ წონით კატეგორიაში გამარჯვების თანაბარი შანსები აქვს რამდენიმე მოჭიდავეს.

მჩატე წონის პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში ყველა შეხვედრა მოიგო საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა სიმონიშვილმა, მას არც ერთი საჯარიმო ქულა არ აქვს. ამავე ჯგუფში ორი საჯარიმო ქულით მეორე ადგილზეა რსფსრ-ს წარმომადგენელი დავლიკანოვი.

ქვემსუბუქ წონაში ჩემპიონატს ლიდერობს ლენინგრადელი ვორობიოვი და რსფსრ-ს წარმომადგენელი სმირნოვი. უკანასკნელ წრეში ლიდერთა ჯგუფში შევიდა გულიაევიც (მოსკოვი), რომელსაც აქვს მხოლოდ ერთი საჯარიმო ქულა.

საინტერესო ბრძოლაა გამართული პირველი ადგილისათვის ქვესაშუალო წონაში. საქართველოს გუნდის წარმომადგენელს მისურაძეს მხოლოდ ერთი საჯარიმო ქულა აქვს.

საშუალო წონაში იბრძვის 17 სპორტსმენი. წინ არის საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, მოსკოველი სპორტის ოსტატი რურაკი, რომელსაც ორი საჯარიმო ქულა აქვს. მეორე ნახევარფინალურ ჯგუფში ამ წონით კატეგორიაში კარგად გამოდიან საქართველოს წარმომადგენელი მუხიაშვილი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი უკრაინელი ვოლოშჩუკი.

გამარჯვების ყველაზე უფრო რეალური შანსები ქვემძიმე წონაში აქვს მოსკოველ შულცს (მას 4 სუფთა მოგება აქვს). აქ მეორე ჯგუფს ლიდერობენ საქართველოს წარმომადგენელი ქარქუსაშვილი და რსფსრ-ს სპორტსმენი ვორონოვი.

მძიმე წონაში გამოდის სულ 10 კაცი. მათ შორის უძლიერესები არიან შინჯიკაშვილი (საქართველო) და სიტკოვი (მოსკოვი).

გუნდურ ჩათვლაში სამი დღის შემდეგ წინ არის ლენინგრადის მოჭიდავეთა კოლექტივი. მეორე ადგილზე მიდიან საქართველოს, ხოლო მესამეზე — მოსკოვის წარმომადგენლები.

ნ. ტარასოვი
(ჩვენი სპეც. კორ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალიზმის გზით

## ფაშისტური ოკუპაციისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მეათე წლისთავი

ზაფხულის სპორტული სეზონი ჩეხოსლოვაკიაში ტრადიციულად იხსნება საბჭოთა არმიისადმი მიძღვნილი მძლეოსნური შეჯიბრებით, რომელსაც ხალხმა „გამარჯვების კროსი" უწოდა. ეს პოპულარული ღონისძიება ჩეხოსლოვაკიის სპორტულ კალენდარში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასობრივია და იმ არნახულ გამარჯვებათა სიმბოლურ გამოხატვას წარმოადგენს, რომელსაც საბჭოთა არმიამ მიაღწია ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

სპორტს, განსაკუთრებით კი ტანვარჯიშს ჩეხოსლოვაკიაში ბრწყინვალე ისტორია აქვს. ტანვარჯიშის განვითარება აქ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში—სპეციალური სპორტული საზოგადოების „სოკოლის" ჩამოყალიბებით დაიწყო. 1918 წლიდან, მას შემდეგ რაც ჩეხოსლოვაკია გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, ბურჟუაზია „სოკოლს" იყენებდა თავის პოლიტიკურ შეხედულებათა პროპაგანდისათვის. 1921 წელს ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასის ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაარსდა მუშათა სპორტული საზოგადოებების ფედერაცია. ამ საზოგადოებათა მუშაობას ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კლემენტ გოტვალდი, რომელიც შემდგომ არჩეულ იქნა მუშათა სპორტული საზოგადოებების სლოვაკიის ფედერაციის ორგანოს — ჟურნალ „სპარტაკუსის" რედაქტორად. გოტვალდი ახალგაზრდებს თავისი ჟურნალის ფურცლებიდან მოუწოდებდა, რომ „სპორტში მეცადინეობა ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. სპორტი ჩვენ უნდა შევუერთოთ პოლიტიკურ თვითშეგნებას". 1926 წლიდან მუშათა სპორტული საზოგადოებების ფედერაცია რეორგანიზებულ იქნა პროლეტარიატის ფიზკულტურულ ფედერაციად. მის შემადგენლობაში ამ დროისათვის 100 ათასზე მეტი კაცი იყო გაერთიანებული.

1948 წლის 25 თებერვალს ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო რეაქციული ძალები. შედარებით ხანმოკლე პერიოდში ჩეხოსლოვაკიის ხალხმა არნახულ წარმატებებს მიაღწია არა მარტო სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტზე, არამედ სპორტშიც.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის 1952 წლის ისტორიული დადგენილება იყო კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იმისა, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა იქ ფიზკულტურასა და სპორტს. დადგენილება, რომელსაც ხელს აწერდა კლემენტ გოტვალდი, შემდგომ გზებსა და ამოცანებს სახავდა სპორტის განვითარებაში. ეს დადგენილება ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენთა მრავალრიცხოვანი არმიის ძირითად სამოქმედო პროგრამად იქცა.

ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის კიდევ უფრო ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან დაარსდა ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანო — ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი, რომელსაც დაეკისრა ფიზკულტურის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობაზე ხელმძღვანელობა. რესპუბლიკაში „სოკოლის" გარდა შეიქმნა მთელი რიგი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები: „სპარტაკი", „ბანიკი", „ისკრა", „დინამო", „ტატრანი", „სლავოი", „სლოვანი", „ლოკომოტივი", „სლავია". ფიზკულტურულ მოძრაობაში კიდევ ერთი გამარჯვება მიღწეულ იქნა კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის" შემოღებით. ამ ღონისძიებამ ფიზკულტურულ სპორტულ საქმიანობაში ჩაბა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და წარმოება-დაწესებულებათა ათასობით ახალი კადრები.

ჩეხოსლოვაკიაში დღეისათვის სპორტის 30-ზე მეტი სახეობაა კულტივირებული. სპორტული კულტურების ცენტრი პრაღაა. აქ, ევროპის ამ უძველეს ქალაქში, თავმოყრილია რესპუბლიკის სპორტსმენთა საუკეთესო ძალები, პირველხარისხოვანი სტადიონები, საცურაო აუზები, ტანვარჯიშული დარბაზები, ზამთრის სტადიონები. ამ რამდენიმე წლის წინათ 53 სპორტსმენს პირველად მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება. ორი გამოჩენილი ჩეხი სპორტსმენი იან ბრზაკი და ემილ ზატოპეკი გახდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები.

ი. ბრზაკი ცნობილია არა მარტო ჩეხოსლოვაკიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იგი ოთხჯერ იყო ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი კანოეში. ბრზაკმა მრავალი სასახელო ახალგაზრდა სპორტსმენი აღუზარდა სამშობლოს, რომლებიც დღეს წარმატებით იცავენ სამშობლოს პრესტიჟს უცხოეთის სტადიონებზე.

მსოფლიოში არც ერთი სპორტსმენის სახელი არ არის ისეთი პოპულარული, როგორიც ე. ზატოპეკისა. ამ შესანიშნავმა სპორტსმენმა მე-15 ოლიმპიურ თამაშებზე სამი ოქროს მედალი მოიპოვა. ზატოპეკს მრავალი შესანიშნავი მსოფლიო რეკორდი ეკუთვნოდა და ეკუთვნის, მათ შორის რბენაში 10, 15, 20, 25, 30 კილომეტრზე.

მძლეოსნობის ისტორიაში სასახელო ფურცლები ჩაწერეს სხვა სპორტის ოსტატებმაც: ს. იუნგვირტმა, ი. სკობლამ, ი. დოლეჟალმა, დ. ზატოპკოვამ, ო. მადრახოვამ, ვ. ჩევონამ, ვ. იანეჩეკმა და სხვებმა.

სპორტი ჩეხოსლოვაკიაში სწორი გზით ვითარდება. ამას ისიც ცხადყოფს, რომ გამოჩენილ ოსტატთა პლეადას წარმატებით ამოუდგა მხარში ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელთა სახელები უკვე გაცდა რესპუბლიკის ფარგლებს. ეს პირველ რიგში ითქმის ლანსკიზე (მან სიმაღლეზე ხტომაში დასძლია 201 სანტიმეტრი). ლანსკის ოსტატობაში არ ჩამოუვარდებიან ახალგაზრდა მძლეოსნები ლიშკა, სავშინსკი, რეეგაკი, კრეიცარი, ფეხბურთელი კოჩანი, მოკრივე ზახარა და სხვები.

ზამთარში, შაბათსა და კვირაობით ათასობით მშრომელი მიემგზავრება ტატრასა და კრკონოშის მთების ფერდობებზე. კეთილმოწყობილი სასტუმროები, დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი საჰაერო საბაგირო გზები, გიგანტური და მცირე ზომის ტრამპლინები მდიდარ შესაძლებლობას იძლევა სათხილამურო სპორტის გასავითარებლად, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობს და რომლის სეზონი აქ აპრილამდე გრძელდება.

შესამჩნევად გაუმჯობესდა ჩეხ სპორტსმენთა ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების დონე ფეხბურთში, ჰოკეიში, კალათბურთში. რესპუბლიკის ნაკრები გუნდები ბევრს და წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო შეხვედრებში და ოფიციალურ ჩემპიონატებში.

**შ. გუგეშაშვილი**

---

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

**„ა" კლასი**

მდგომარეობა 15 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" მ. | 5 | 4 | 1 | 0 | 14:3 | 9 |
| ცდსა | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 9 |
| „ტორპედო" | 5 | 3 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| „ზენიტი" | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 6 |
| „სპარტაკი" მ. | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | 6 |
| „შახტიორი" | 5 | 1 | 3 | 1 | 7:6 | 5 |
| „დინამო" თბ. | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 5 |
| „შრ. რეზერვები" | 6 | 1 | 2 | 3 | 11:14 | 4 |
| „კრ. სოვეტოვი" | 6 | 1 | 2 | 3 | 6:14 | 4 |
| „დინამო" კ. | 5 | 0 | 3 | 2 | 4:7 | 3 |
| „ლოკომოტივი" | 6 | 0 | 3 | 3 | 5:10 | 3 |
| „სპარტაკი" მნ. | 5 | 0 | 2 | 3 | 4:7 | 2 |

### „ა" კლასის ოსტატთა მატჩები

**მოსკოვი.** 13 მაისი. „სტალინეცის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივი" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი".

მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

**ლენინგრადი.** 14 მაისი. ადგილობრივი „შრომითი რეზერვების" გუნდმა ს. მ. კიროვის სტადიონზე მიიღო მოსკოვის „სპარტაკი".

თამაში დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 2:1.

### თამაშების კალენდარი

22 მაისს გაიმართება ფეხბურთში რესპუბლიკის პირველობაზე მეორე ჯგუფში მონაწილე გუნდების მეორე ტურის მატჩები. **აღმოსავლეთ ზონაში** თამაშობენ: „კოლმეურნე" (გურჯაანი) — „კოლმეურნე" (ადიგენი), „ლოკომოტივი" (ხაშური) — გურჯაანი (ნაკრები), ყვარელი (ნაკრები) — „კოლმეურნე" (წითელწყარო), „სპარტაკი" (თელავი) — ორთქლ. ვაგონშემკეთებელი ქარხანა (თბილისი), ქარელი (ნაკრები) — ახალქალაქი (ნაკრები). **დასავლეთ ზონაში:** წულუკიძე (ნაკრები) — „კოლმეურნე" (ლანჩხუთი), გუდაუთა (ნაკრები) — საჩხერე (ნაკრები), „შახტიორი" (ტყიბული) — ზესტაფონი (ნაკრები), „ტორპედო" (ქუთაისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია), „დინამო" (ზუგდიდი) — „სპარტაკი" (ცხაკაია).

მატჩების დასაწყისი 15 საათზე.

---

# საბჭოთა კავშირის XVIII ჩემპიონატი

## ზონალური ტურნირი

### მეხუთე ტური

შიშოვმა კასპარიანის წინააღმდეგ ესპანურ პარტიაში ფიგურები ძლიერ პოზიციებზე განალაგა, ამან კიდეც განაპირობა მისი პოზიციური უპირატესობა. ერევნელი ოსტატი თამაშის გათანაბრების მიზნით ამზადებდა იერიშს მეფის ფრთაზე, მაგრამ შიშოვმა მას შეტევით დაასწრო. კასპარიანი იძულებული გახდა დაცვაზე გადასულიყო. საქართველოს ჩემპიონის იერიში სულ უფრო იზრდებოდა. მალე მან ხარისხი მოიგო. 41-ე სვლაზე კასპარიანმა თავი დამარცხებულად ცნო.

დებიუტს თავისებურად თამაშობს გურგენიძე. იგი შეგნებულად არიდებს თავს დამუშავებულ სისტემებს და მოწინააღმდეგეს დასაწყისშივე ახალი ამოცანის წინაშე აყენებს. ბაქოელი სარიჩევი თუმცა ბევრს ფიქრობდა გურგენიძესთან პარტიაში, მაგრამ მდგომარეობა მაინც ვერ გაათანაბრა. ინიციატივა გურგენიძემ მტკიცედ ჩაიგდო ხელში. პოზიციურ მანევრირებაში მან აჯობა მეტოქეს და პარტია გადადების წინ უკვე მოგებული ჰქონდა. ასევე დებიუტში გადაწყდა გიორგაძე-თათევოსიანის პარტია. ალიოხინის დაცვაში საკმარისი იყო თათევოსიანის დაუკვირვებელი სვლა, რომ გიორგაძემ შესამჩნევი პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. არც ეს პარტია დამთავრებულა. მეტად რისკიანად გაითამაშა ძველინდური დაცვა რეგენბოგენმა ტარასოვთან. უკანასკნელმა მოხდენილად გაბათილა რეგენბოგენის მუქარები და პაიკი მოიგო. შემდეგი თამაში მხოლოდ ამ უპირატესობის რეალიზაციას წარმოადგენდა. ტარასოვმა გაიმარჯვა.

როცა ორივე მეტოქე დებიუტს კარგად გაითამაშებს, ბრძოლა შუა თამაშში ჩაღდება. ასე მოხდა ებრალიძე-ქარსელაძის შეხვედრაში. კრიტიკულ პოზიციაში ებრალიძე ფიგურებით საკონტროლო უჯრაზე გამაგრდა, კარგად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა.

ჰალილბეილი და სარდაროვი ყაიმზე შეთანხმდნენ. გადადებულ პარტიებში გოგლიძეს ლისტენგარტენთან, ხოლო ტოპროვერს — ამირხანოვთან უპირატესობა აქვთ.

### გადადებული პარტიების დამთავრება

კალაშიანმა თამაშის განახლებიდან მესამე სვლაზე კუთი აიყვანა კასპარიანის პაიკი. კასპარიანმა თავისი კუთი მოჰკლა იგი. მაშინ კალაშიანმა ლაზიერით ქიში გამოაცხადა, რის შემდეგ მისი აზრით იგი იბრუნებდა შეწირულ ფიგურას და ზედმეტი პაიკი რჩებოდა. მაგრამ კასპარიანს ქიშზე გაეღიმა და კალაშიანს უთხრა, რომ მას თვითონ ქიში აქვს გამოცხადებული კუთი. კალაშიანი მიხვდა შეცდომას, იძულებული გახდა სვლა მეფით გაეკეთებინა, მაგრამ რაკი უფიგუროდ დარჩა, იმ წამსვე დანებება არჩია.

შიშოვმა ენერგიული შეტევით მოუგო ამირხანოვს. გურგენიძემ ოსტატურად გამოიყენა უპირატესობა სარიჩევთან და გაიმარჯვა. სარიჩევმა მეორე გადადებული პარტია წააგო გოლდინთან. რეგენბოგენმა ებრალიძესთან პარტიაში თავი დამარცხებულად ცნო.

ამ დღეს შედგა აგრეთვე ორი გამოტოვებული პარტია. გოგლიძემ კარგად გამოიყენა გიორგაძის უგეგმო თამაში და გაიმარჯვა. ტოპროვერმა სძლია რეგენბოგენს.

### მეექვსე ტური

მხოლოდ თხუთმეტ სვლაში დამთავრდა სარიჩევ-კალაშიანის შეხვედრა. შუა თამაშში სარიჩევმა უხეში შეცდომით დაკარგა ფიგურა და დანებდა. ქარსელაძემ ტარასოვთან ცაიტნოტში არასწორად ითამაშა და დამარცხდა.

თათევოსიან-გოგლიძის, გოლდინ-შიშოვის, რეგენბოგენ-გიორგაძის და სარდაროვ-ტოპროვერის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ჰალილბეილიმ მოუგო კასპარიანს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ექვსი ტურის შემდეგ შიშოვს 5 ქულა აქვს, გოგლიძეს და ტარასოვს — 4,5 თვითეულს.

---

## რესპუბლიკური სემინარი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ჩაატარა ბავშვთა სპორტული სკოლებისა და ტანვარჯიშის მწვრთნელთა რესპუბლიკური სემინარი, რომელზეც მოსმენილი იქნა სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. მერკვილაძის, მასწავლებლების: ნ. სეფაშვილისა და ნ. მახვილაძის ლექციები ბავშვთა სპორტსკოლის ახალი დებულების, სპორტის ცალკეული სახეობების პროგრამების, მშთ ახალი კომპლექსისა და მოსწავლეთა მომავალი საკავშირო სპარტაკიადის შესახებ.

სემინარის მსმენელები გაეცნენ ტანვარჯიშში საკავშირო ერთიან საკლასიფიკაციო პროგრამაში შეტანილ ცვლილებებს. გარჩეულ იქნა ახალი ვარჯიშები.

**ა. ორახელაშვილი**

---

# სტუდენტთა სპარტაკიადები

### ინსტიტუტის ჩემპიონობა მოიპოვეს

დამთავრდა ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა V სპარტაკიადა.

მძლეოსნობაში, ტანვარჯიშსა და ფარიკაობაში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ფიზაღზრდისა და სპორტის ფაკულტეტის სტუდენტებმა. ტანვარჯიშში თანრიგების მიხედვით ინსტიტუტის ჩემპიონები გახდნენ: მეორე თანრიგში ვაჟთა შორის ზ. ავალიშვილი (ფიზაღზრდის ფაკულტეტი), ქალთა შორის — ზ. კოტიაშვილი (გეოგრაფიის ფაკულტეტი). მესამე თანრიგში ვაჟთა შორის — ი. გასიტაშვილი (ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი), ქალებში — ლ. ნონიკაშვილი (ფიზაღზრდის ფაკულტეტი), ფარიკაობაში ინსტიტუტის ჩემპიონობა მოიპოვეს ლ. ელბაქიძემ (ისტორიის ფაკულტეტი), ქალთა შორის — ნ. საცერაძემ — (ფიზაღზრდის ფაკულტეტი).

მოჭიდავეთა შეჯიბრებაში ყველაზე ძლიერი გუნდი გამოიყვანა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტმა, მათვე გაიმარჯვეს კალათბურთელთა ვაჟთა და ქალთა შეხვედრებში, ფრენბურთში ქალთა გუნდებიდან გამარჯვებული გამოვიდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, ვაჟთა შორის — ფიზაღზრდისა და სპორტის ფაკულტეტის გუნდი.

საერთო გუნდური პირველობა მიეკუთვნა ფიზაღზრდისა და სპორტის, მეორე — ფიზიკა-მათემატიკის, მესამე — საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გუნდს.

**ა. ზელაშვილი**

### შეხვედრები გრძელდება

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე სპარტაკიადაში მონაწილეობს I, II და III კურსის გუნდები. უკვე დამთავრდა შეხვედრები სპორტის ხუთ სახეობაში. ტანვარჯიშში პირველ ადგილზე გამოვიდა მესამე კურსის გუნდი. მეორეზეა პირველი კურსი. მესამეკურსელებმა გაიმარჯვეს აგრეთვე კალათბურთელთა და მოფარიკავეთა შეხვედრებში. ფრენბურთელთა შორის ყველას აჯობა პირველი კურსის გუნდმა, მეორეზე გამოვიდნენ მეორეკურსელები. მეორეკურსელებმა გაიმარჯვეს ცურვაშიც. სპარტაკიადაში დაწინაურდა მესამე კურსი, რომელსაც 12,5 ქულა აქვს.

ჩატარდა შეხვედრები ფეხბურთში. მეორე კურსის გუნდმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა პირველი კურსის გუნდი. სამაგიეროდ პირველკურსელებმა ძლიეს მესამეკურსელებს ანგარიშით 5:2.

სპარტაკიადა გრძელდება.

### ფინიშის წინ

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეექვსე სპარტაკიადაში შეტანილი იყო სპორტის 15 სახეობა. უკვე დამთავრდა შეხვედრები 14 სახეობაში. სპორტულ ტანვარჯიშში გამარჯვებული გამოვიდა ფიზიკის ფაკულტეტის გუნდი, მხატვრულ ტანვარჯიშში — ფილოლოგიის ფაკულტეტის სპორტსმენები. ვაჟ კალათბურთელთა შეხვედრებიდან უძლიერესი აღმოჩნდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კოლექტივი. ქალთა შორის — ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდი. ფრენბურთში გაიმარჯვეს ფილოლოგიის ქალთა და ფიზიკის ფაკულტეტის ვაჟთა გუნდებმა. ჩოგბურთელთა შეხვედრებში გუნდური პირველობა მოიპოვა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა. მაგიდის ჩოგბურთში, ფარიკაობასა და ძალოსნობაში გაიმარჯვეს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა. ჭიდაობის ყველა სახეობაში უძლიერესი იყვნენ ეკონომიკის ფაკულტეტის გუნდები. ჭადრაკში უნივერსიტეტის ჩემპიონი გახდა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, სროლაში — ფიზიკის ფაკულტეტის გუნდი. აღსანიშნავია ე. ჩუბინიძის გამარჯვება ქალთა შორის, რომელმაც 100 შესაძლებლიდან 96 ქულა დააგროვა. მოკრივეთა შეხვედრებში გაიმარჯვეს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სპორტსმენებმა.

---

# ზატოპეკმა აილო რევანში

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ქიმინაში გაიმართა რესპუბლიკის პირველობის გათამაშება რთულ, დასერილ ადგილმდებარეობაზე რბენაში 10.200 მეტრზე. ყურადღების ცენტრში იყო გამოჩენილი სტაიერის ზატოპეკისა და ახალგაზრდა ულსტერგერის ორთაბრძოლა. როგორც ცნობილია, ამ რამდენიმე ხნის წინ ულსტერგერმა დაამარცხა ზატოპეკი საკროსო რბენაში. ახლა მეტოქეებმა კვლავ ერთად აიღეს სტარტი. ნიჭიერი, ახალგაზრდა სპორტსმენი დიდხანს ლიდერობდა დისტანციას. მაგრამ სულ უკანასკნელ მეტრებზე ზატოპეკმა არაჩვეულებრივად გაზარდა რბენის ტემპი და ფინიშის ხაზი პირველმა გადაჭრა. ზატოპეკის შედეგი — 30.56,4.

# საქალაქთაშორისო შეხვედრები

## ტანვარჯიშში

სტალინირის, გორის, თელავის, ხაშურისა და ახალციხის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდების საქალაქთაშორისო მატჩი გაიმართა გორში.

შეჯიბრებაში კარგად მომზადებული კოლექტივი გამოიყვანა გორმა (მწვრთნელები შ. ლითანიშვილი და დ. კოშაძე), რომელმაც დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა გარდამავალი თასი. გასული წლის შეჯიბრებაში გამარჯვებული სტალინირელი ტანმოვარჯიშეები გამოვიდნენ მეორე ადგილზე. მესამე ადგილი წილად ხვდა ხაშურის ნაკრებს.

პირად შეჯიბრებაში ოსტატთა თანრიგით (ნებისმიერი პროგრამით) გამოდიოდნენ სტალინირელები თ. ქოქოევა და ა. კასრაძე. ისინი ახლო წარსულში კარგად მომზადებული პირველთანრიგოსანი ტანმოვარჯიშეები იყვნენ, მაგრამ შემდგომში, ახალგაზრდების მომზადებაზე არავის არ უფიქრია. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მათ მიერ ნაჩვენები შედეგი დაბალი იყო.

სამატჩო შეხვედრის დამთავრების შემდეგ მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები.

**ნ. ალსაბაძე**

## ძალოსნობა

ქუთაისში მოეწყო ოთხი ქალაქის ძალოსანთა ტრადიციული შეხვედრა. მონაწილეობდნენ ბათუმის, ქუთაისის, სოხუმისა და ახალციხის წარმომადგენლები.

გუნდურ ჩათვლაში 14 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა სოხუმის ძალოსანთა კოლექტივი, მეორე ადგილი წილად ხვდა ახალციხეს, ხოლო მესამე—ქუთაისს. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: ი. მაისურაძე, ს. კილაბერია, ვ. ბაბალოევა, ა. სოროკინი, პ. თვაური, გ. ბიძოევი და ა. არუთინოვი.

ამავე დღეებში გორში გაიმართა ზესტაფონის, სტალინირის, ადიგენისა და ადგილობრივ ძალოსანთა სამატჩო შეხვედრა. აქ პირველ ადგილზე გამოვიდა ზესტაფონის გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: პ. გარბაქაძე, რ. ხვედელიძე, გ. სვანიძე, ე. ჭიჭინაძე, კ. ბუაძე, დ. სალაძე და ნ. დეკანოსიძე. მომდევნო ადგილები დაიკავეს გორის, ადიგენისა და სტალინირის ძალოსნებმა.

**ვ. ღვინიაშვილი**

# ფარული ბრძოლა გრძელდება

თბილისის მე-4 სამედიცინო სასწავლებლის ფიზკულტურული კოლექტივი მოწინავედ ითვლებოდა დედაქალაქში. მუშაობდნენ სექციები, სისტემატური წვრთნის შედეგად სასწავლებელი ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმებს.

ასე იყო 1953 წლამდე, ვიდრე სასწავლებელს ახალი დირექტორი მ. ფარცხალაძე მოევლინებოდა და ფიზაღზრდის მასწავლებელ ი. ავალიშვილთან პირადი უკმაყოფილების გამო ხელს აიღებდა მოსწავლეთა ფიზიკური წრთობისათვის ზრუნვაზე. კინკლაობის შედეგებმა ერთი მეორის მიყოლებით იჩინა თავი: ჯერ ფრენბურთის მოედანი გამოვიდა მწყობრიდან, შემდეგ დირექტორი შეტევაზე გადავიდა, ფიზკულტურის კაბინეტში სპორტული კედლის გაზეთიდან ამოგლიჯა კრიტიკული წერილი და კაბინეტის გაუქმება და მისი სხვა დანიშნულებისამებრ გამოყენება ბრძანა მაგრამ „ურჩი" ავალიშვილი, როდი დათანხმდა სისრულეში მოეყვანათ განკარგულება. მაშინ დირექტორმა გამოაკრა ახალი ბრძანება — „ფიზკულტურის მასწავლებელი ი. ავალიშვილი მოიხსნას სამსახურიდან".

ავალიშვილმა გაცლა ამჯობინა, იგი სამედიცინო ინსტიტუტში მოეწყო. ერთმა წელმა განვლო. სასწავლებელში ფიზკულტურული მუშაობა ჩაიშალა. უმოქმედობდნენ სექციები, არ სრულდებოდა გეგმები. ახლა კი დაჭირდა ფარცხალაძეს ძველი მასწავლებელი, რადგან მუშაობის ჩავარდნა ამ უბანზე სამარცხვინო ლაქას სცხებდა სასწავლებელს. მან უკან დაბრუნებულ ავალიშვილს აღუთქვა ყოველგვარი პირობების შექმნა, ოღონდ ჩამორჩენა გამოესწორებინა.

გასული წლის ნოემბერში ახალი ძალით იფეთქა უთანხმოებამ. ავალიშვილი სამსახურიდან კვლავ მოხსნილი აღმოჩნდა, მაგრამ დირექტორის მოქმედებას ზღვარი დაუდო ორჯონიკიძის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ, რომელმაც ავალიშვილი თავის თანამდებობაზე დააბრუნა. შეურაცხყოფილმა დირექტორმა საქმე გაასაჩივრა. უმაღლესმა სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა. ამას დაემატა ჯანმრთელობის მინისტრის ბრძანება ავალიშვილის აღდგენის შესახებ. დამარცხდა, აშკარად დამარცხდა ფარცხალაძე, მაგრამ ბრძოლა ფარული ფორმით მაინც გრძელდება.

კი მაგრამ, რა შუაში არიან მოსწავლეები, რატომ არ უქმნიან მათ ნორმალური წვრთნის პირობებს?

**ი. ხარაძე**

*წაიკითხე ეს წიგნი*

# საბჭოთა სპორტსმენების საერთაშორისო კავშირი

ქვეყნებს შორის სპორტული კავშირის დამყარება და გაფართოება ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მძლავრი ფაქტორია. ამ საკითხს ეხება ნ. ბუგროვის წიგნი „საბჭოთა სპორტსმენების საერთაშორისო ურთიერთობანი", რომელიც გამოცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა" გამოსცა. მდიდარი ფაქტობრივი მასალის გამოყენების საფუძველზე ავტორი დამაჯერებლად მოგვითხრობს საბჭოთა სპორტსმენების მიღწევებზე საერთაშორისო შეჯიბრებებში, მათ თავდადებულ ბრძოლაზე მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, მათ მეგობრობაზე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სპორტსმენებთან. წიგნში ავტორი დაუნდობლად ამხელს აგრეთვე ბურჟუაზიული სპორტის რეაქციულ ხასიათს.

იგი მწვავედ ამხელს ამერიკულ სპორტს, რომელიც მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საშუალების ნაცვლად, კაპიტალისტთა შემოსავლისა და მოგების წყაროა. ამაზე ნათლად მეტყველებს ამერიკის სენატის ჯანმრთელობის დაცვის კომისიის მთავარი რევიზორის მალბერგის განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ, რომ 18-დან და 38 წლამდე ასაკის 17 მილიონი კაციდან, სამედიცინო შემოწმების შედეგად სამხედრო სამსახურისათვის უვარგისი აღმოჩნდა 6,5 მილიონი.

პროგრესული საერთაშორისო სპორტული გაერთიანებები ყოველთვის გამოდიოდნენ ომის, სპორტის მილიტარიზაციის წინააღმდეგ. ამ მიზანს ემსახურებოდა 1934 წელს პარიზში მოწყობილი ანტიფაშისტური სპორტული შეკრება და ანტვერპენის 1937 წლის მუშათა ოლიმპიადა. საბჭოთა სპორტსმენები ყოველთვის ბიძგის მიმცემნი იყვნენ პროლეტარული სპორტსმენებისათვის მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში.

დიდი სამამულო ომის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა სპორტსმენების როლი საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებაში. სწორედ ამ ამბებს ეხება აღნიშნული წიგნის მეორე თავი. საბჭოთა ფიზკულტურელების გამოსვლებმა უცხოეთის სპორტულ ბაზებზე გააქარწყლა ბურჟუაზიული პრესის ნალაყბევი საბჭოთა სპორტის შესახებ. ახლა ეჭვს აღარ იწვევს ის ამბავი, რომ საბჭოთა სპორტსმენები უძლიერესნი არიან მთელს მსოფლიოში. ავტორი ქრონოლოგიის დაცვით მიმოიხილავს საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებს საერთაშორისო შეხვედრებში, აგრეთვე საზღვარგარეთელი სპორტსმენების გამოსვლებს სსრ კავშირში 1945 წლიდან დღემდე. ჩვენი სპორტსმენების მაღალი ტექნიკური მაჩვენებლებისა და საერთო მიღწევების შეფასებისათვის ავტორი იყენებს უცხოეთის პრესისა და სპორტული დელეგაციების წევრების შთაბეჭდილებებს.

თავის წიგნში ნ. ბუგროვი დიდ ადგილს უთმობს საბჭოთა სპორტის ეროვნულ ხასიათს. იგი გულთბილად იხსენიებს ქართველ სპორტსმენებსაც, რომელთაც ბრწყინვალედ დაიცვეს საბჭოთა სპორტის ღირსება საერთაშორისო შეჯიბრებებში.

**ბ. დარსაძე**

# შეჯიბრება სროლაში

წყალტუბოს დოსააფის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო გუნდური შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში. მონაწილეობდა 8 გუნდი.

ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა მოაგროვა საქგუმბრინის წარმოების მსროლელთა გუნდმა (მწვრთნელი გ. მიქაძე), მეორე ადგილზე გამოვიდნენ რაისაბჭოს აღმასკომის სპორტსმენები, ხოლო მესამეზე — სანეპიდსადგურის მსროლელები. შეჯიბრების 40 მონაწილიდან რვამ ჩააბარა სათანრიგო ნორმები.

**შ. ბენძეხაძე**

# ქრონიკა

ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში, გუშინ დაიწყო და დღეს გრძელდება საქართველოს ალპინისტთა მეექვსე რესპუბლიკური კონფერენცია. ხვალ აქვე მოეწყობა ი. ალანიშვილის, ო. გიგინეიშვილისა და დ. ფურცელაძის კოლექტიური ნაშრომის — „მთამსვლელობა საქართველოში" — საჯარო განხილვა. მომხსენებელია სპორტის ოსტატი ს. ცაიშვილი.

განხილვა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

*ყოველი მხრიდან*

## კრივი, ცურვა, ფეხბურთი

**ამსტერდამი.** აქ ერთმანეთს შეხვდნენ ჰოლანდიისა და ბელგიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. მატჩის მე-40 წუთზე ჰოლანდიელმა დინელმა გაიტანა ბურთი, რომელიც ერთადერთი გამოდგა ამ შეხვედრაში.

**ესკილსტუნა.** შვეციისა და ნორვეგიის მოკრივეთა ამხანაგურ შეხვედრაში გაიმარჯვეს შვედებმა — 7:3.

**დუბლინი.** ირლანდიისა და ჰოლანდიის მოკრივეთა მატჩის ანგარიშია 7:3 ირლანდიის სასარგებლოდ.

**პარიზი.** კოლომბოს სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდები. მე-12 და 57-ე წუთებზე ფრანგების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ოლივერმა ორი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. მატჩის შედეგია 2:0 საფრანგეთის ნაკრების სასარგებლოდ.

**ჰააგა.** 14 წლის ჰოლანდიელმა მოცურავე გოგონამ მარია კოჯმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი 400 მეტრზე კომბინირებულ ცურვაში. მისი შედეგია 5:47,3.

# უნგრელი ფეხბურთელები ჩრდილოეთში

ფეხბურთში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მსოფლიო პირველობის პრიზიორი უნგრეთის ნაკრები გუნდი ამას წინათ გაემგზავრა ჩრდილოეთისაკენ. უნგრელი ფეხბურთელები ჩაატარებენ რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრას. ისინი სტოკჰოლმში შეხვდებიან შვეციის ნაკრებს, კოპენჰაგენში — დანიის ნაკრებს, ხოლო ჰელსინკში — ფინეთის ნაკრებს.

# ვერტომფრენი-პარაშუტი

საფრანგეთის ქალაქ სენტ-ეტიენის მიდამოებში მაყურებლები ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს თავიანთი თანამემამულის ცდებს, აფრენილიყო ჰაერში მსოფლიოში ყველაზე პატარა ვერტომფრენით. ცდებმა უშედეგოდ ჩაიარა. გამომგონებელმა ვერ შეძლო საკუთარი, ძრავის წონისა და ვერტომფრენის ამწევ ძალას შორის არსებული რთული წინააღმდეგობების დაძლევა. მაგრამ ფრანგმა მაინც მოახერხა გაფრენა „ჯიბის" პაწაწინა ვერტომფრენით. ამისათვის მას მოუხდა გადმოხტომა ციცაბო მთიდან, რომლის დროსაც ვერტომფრენი პარაშუტის როლს ასრულებდა.



საფრანგეთის გაზეთები, იტყობინებოდნენ რა ამ გამოგონებაზე, აფასებდნენ მას, როგორც მსოფლიოში ყველაზე პატარა ვერტომფრენს და საავადმყოფოში მოხვედრის ყველაზე უფრო დიდ შანსს.

# ახალგაზრდელებთან მჭიდრო კავშირში

საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრაში საგანგებო როლი ეკუთვნის მწვრთნელ-ინსტრუქტორს. საბჭოთა ახალგაზრდობის აღმზრდელის მაღალი წოდება მას უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანებს უსახავს. ყოველი მწვრთნელი და ინსტრუქტორი ვალდებულია დაუღალავად, რეგულარულად იმუშაოს საკუთარი პედაგოგიური ცოდნის ამაღლებისა და იდეურ-პოლიტიკური დონის სრულყოფისათვის.

ინსტრუქტორსა და მწვრთნელზე დიდადაა დამოკიდებული აღსაზრდელში ისეთი ძვირფასი ჩვევების გამომუშავება, როგორიცაა სიყვარული შრომისა და სწავლისადმი, თავმდაბლობა, დისციპლინიანობა, გამარჯვების რწმენა. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც შეადგენს საბჭოთა ადამიანის მორალურ სახეს.

მწვრთნელი ყოველთვის უნდა ისწრაფვოდეს ახლის შექმნისათვის, მის მიერ ჩატარებული მეცადინეობა უნდა იყოს შინაარსიანი, საინტერესო, შეიცავდეს ახალსა და სასარგებლოს აღსაზრდელთათვის. ჩვენს ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მრავლად არიან მწვრთნელები და ინსტრუქტორები, რომლებიც თავისი მდიდარი გამოცდილებით, ცოდნით, საქმისადმი მუყაითი დამოკიდებულებით წარმატებით ასრულებენ მათზე დაკისრებულ საპასუხისმგებლო მოვალეობას. საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დიდ მუშაობას აწარმოებს ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილება. მოზარდი სპორტსმენი ყოველ მეცადინეობაზე იძენს ახალს და სასარგებლოს ისეთი მწვრთნელებისაგან, როგორიც არიან ნ მახვილაძე, თ. გეგელაშვილი, ვ. ქარსელაძე და სხვანი. კეთილსინდისიერად და ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე თბილისის სახალხო განათლების ცენტრალური სპორტსკოლების მწვრთნელები პ. იორდანიშვილი, მ. კეკელიძე, ნ. თაყაიშვილი და სხვ.

ამ მიმართულებით სათანადო მუშაობა წარმოებს „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოშიც. საშუალო სკოლებში შექმნილია „ნორჩი დინამოელის" ფიზკულტურული კოლექტივები. ამ სკოლათა მოსწავლეები გაერთიანებული არიან „ნორჩი დინამოელის" მრავალრიცხოვან სპორტულ სექციებში. ასეთი გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით, როგორიც არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. გაგუა, ვ. მაჩკალიანი, ვ. კუხიანიძე, გ. ვართანოვი, სპორტის ოსტატები შ. ქოიავა, ე. წოვლიევა, ი. ოგანოვი და სხვანი, ბავშვები სისტემატურად იმაღლებენ თავისა სპორტული მომზადების დონეს. მწვრთნელებს მჭიდრო კავშირი აქვთ სკოლასთან და მშობლებთან, ისინი პერიოდულად ამოწმებენ თავის აღსაზრდელთა მოსწრებას სკოლაში, ამხანაგებთან დამოკიდებულებას. ამ მხრივ მისაბაძი მაგალითია ფეხბურთის მწვრთნელის გ. გაგუას საქმიანობა. იგი არის ყურადღებიანი, მომთხოვნი პედაგოგი. გაგუა მჭიდროდაა დაკავშირებული თავის აღსაზრდელებთან, სისტემატურად ამოწმებს მათ აკადემიურ მოსწრებას და დისციპლინიანობას სკოლაში, ახლო ურთიერთობა აქვს მშობლებთან. გაგუას აღსაზრდელები ყოველთვის გამოირჩევიან თავაზიანობით, წესიერი მოქცევით. ფეხბურთის სკოლის წევრები ხშირად კოლექტიურად მიდიან კინოში, თეატრში, მუზეუმში. არის ხოლმე შემთხვევები, როცა ნორჩ ფეხბურთელს ზედმეტად გაიტაცებს სპორტი და ეს უარყოფითად მოქმედებს მის მოსწრებაზე სკოლაში. მწვრთნელი ამ შემთხვევაში ნიშნის გამოსწორებამდე ფეხბურთელს უკრძალავს წვრთნაზე დასწრებას და ამის ბავშვები ყველაზე მკაცრ სასჯელად თვლიან.

მოწინავე მწვრთნელების მაგალითი უნდა გადაიღოს ყველამ, ვინც ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს ემსახურება. ამაზე დიდადაა დამოკიდებული ჩვენი სპორტის ხვალინდელი დღე.

**თ. სისორდია**

რედაქტორი **ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ-მგ მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, მორიგისა და გამომშვების — 8-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.   უე 04104